IBSU

# საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
ოქმი №13 , 4 ნოემბერი , 2022 წელი
პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით /_______დოქტორი ნინო ჯოჯუა_______/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 52 , 7 ნოემბერი, 2022 წელი
ფაკულტეტის დეკანი /_____დოქტორი ილია ბოცვაძე_____________/

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე
ოქმი №35, 14 ნოემბერი, 2022 წელი
რექტორი /___დოქტორი საფფეთ ბაირაქთუთანი_____/

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**ტურიზმი**

თბილისი
2022 წელი

# საგანმანათლებლო პროგრამა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ტურიზმი/Tourism

**ფაკულტეტი:** ბიზნესის სკოლა

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: ეკა დევიძე, მობ:+995 593253544, ელ.ფოსტა: edevidze@ibsu.edu.ge**

**უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე:** ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო – დონე 6

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი

**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013):** 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
Travel, Tourism and Leisure

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში/Bachelor of Business Administration in Tourism

**კვალიფიკაციის კოდი:** 1015.1.1 ტურიზმი Tourism

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240** ECTS კრედიტი

**პროგრამის სტრუქტურა:**

უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:

**საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები:** 10 კრედიტი

ენები: 20 კრედიტი

**ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები** კრედიტი 61

**ტურიზმის სავალდებული სასწავლო კურსები** კრედიტი 70

**პრაქტიკის (სავალდებულო) კომპონენტი:** 10 კრედიტი

# საგანმანათლებლო პროგრამა

**ტურიზმის არჩევითი სასწავლო კურსები:** 20 კრედიტი (შეთავაზებული 46 კრედიტიდან)

**თავისუფალი კომპონენტი: 60 კრედიტი:** თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ნებისმიერ სასწავლო კურსს წინაპირობების დაცვით

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე, სწავლის უფლების მოპოვების შემდეგ პირმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში უნდა გაიროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ისტორია ან გეოგრაფია, ამასთან აბიტურიენტმა უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ინგლისური ( 50%+1)

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი/კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნებათ მდიდარი თეორიული ცოდნა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები

1.1.განუვითაროს ტურიზმის სფეროში კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავების, ღონისძიების დაგეგმვის, ტურისტული პროდუქტის შექმნის და შეთავაზების, ტურების დაგეგმვის და თვითღირებულების გამოთვლის უნარები და დაამყაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.

1.2. გაუღრმაოს ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ ინტერესი და მოტივაცია და გააცნობიეროს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

**სწავლის შედეგები:**

1. აღწერს ტურიზმის (საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, კურორტები, დაცული ტერიტორიები, სასტუმრო ინდუსტრია) და მასთან დაკავშირებული დარგების/სფეროების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, ფინანსები) ძირითად კონცეფციებს, თეორიებსა და პრინციპებს.

2. აანალიზებს საჯარო/არასამთავრობო, კერძო, ეროვნული და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების როლს და ფუნქციებს და ახდენს ტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების და მართვის საკითხების ცოდნის დემონსტრირებას, მოქმედებს ეთიკური ნორმების დაცვით და აცნობიერებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.
3. მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ, აყალიბებს მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე
4. განიხილავს ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტურიზმის სფეროს საქმიანობის პროცესებს და ტურისტული მომსახურების დაგეგმვას, განხორციელებას და მართვას;
5. ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს და ახორციელებს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ტურიზმის სფეროში, გეგმავს და ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს, ადგენს ტურებს, ქმნის ტურისტულ პროდუქტებს,
6. ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, იღრმავებს ცოდნას ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ

**პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:**

| პროგრამის მიზნები | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 2 | სწავლის შედეგი 3 | სწავლის შედეგი 4 | სწავლის შედეგი 5 | სწავლის შედეგი 6 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი/კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნებათ მდიდარი თეორიული ცოდნა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |
| 1.1 განუვითაროს ტურიზმის სფეროში კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავების, ღონისძიების დაგეგმვის, ტურისტული პროდუქტის შექმნის და შეთავაზების, ტურების დაგეგმვის და თვითღირებულების გამოთვლის უნარები და დაამყაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენაზე. | ✔ | ✔ | ✔ | | ✔ | ✔ |
| 1.2. გაუღრმაოს ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ ინტერესი და მოტივაცია და გააცნობიეროს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. | | | | ✔ | ✔ | ✔ |

**სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა და სამიზნე ნიშნულები**

I = Introduced (გაცნობა) D = Deepen (გაღრმავება) M = Mastered (განმტკიცება)

| სასწავლო კურსი/პრაქტიკა | სწავლის შედეგები | | | | | | სამიზნე ნიშნულები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | % |
| | | | | | | | |
| TRM302 კურორტის მენეჯმენტი | I/D | D | D | D/M | | D | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM203 საქართველოს დაცული ტერიტორიები | I/D | D | D | D/M | | D | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| TRM413 სასტუმრო მენეჯმენტი | I/D | D | D | D/M | | D | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM402 კულტურული ტურიზმი | I/D | D | D | D/M | | D | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM313 ტურის დაგეგმვა და საქართველოს ტურისტული მარშრუტები | I/D | D | D | D/M | M | D | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM317 საექსკურსიო მენეჯმენტი და გიდის ხელოვნება | I/D | D/M | D | D/M | D/M | D | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM401 ღონისძიებების მენეჯმენტი ტურიზმში | I/D | D | D | D/M | D/M | M | სტუდენტების 70-75% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM318 ტურიზმის სტატისტიკა | I/D | D | D | D/M | | | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| ECO317 ტურიზმის ეკონომიკა | I/D | D | D | D/M | D/M | | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM403 ტუროპერეიტინგი | I/D | D | | D/M | D/M | | სტუდენტების 70-75% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| TRM312 ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები | I/D | D/M | D | D/M | D/M | | სტუდენტების 60-65% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| MGT403 პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში | I/D | D | D | D/M | D/M | D/M | სტუდენტების 65-70% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |
| BUS404 პრაქტიკა | M | M | M | M | M | M | სტუდენტების 80% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ან A ) |

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების/აქტივობების გამოყენებით:

ლექცია/სემინარი, ფოკუს ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევის შესწავლა/სიტუაციის ანალიზი, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, სიმულაცია, როლური თამაში, პროექტი, ღონისძიების გეგმა, ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ინდივიდუალური მუშაობა, წიგნზე მუშაობა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 – 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის/პრაქტიკის გეგმის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა 30 კრედიტი, ასევე დასაშვებია სემესტრში კრედიტების რაოდენობა იყოს 30-ზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან, გარდა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისა გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტი 40 კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი მისი სურვილის ან ინტერესის გათვალისწინებით და სასწავლო კურსებზე დაწესებული წინაპირობების დაცვით.

პროგრამაში 20 კრედიტი გათვალისწინებულია უცხო ენებისთვის. ინგლისური ენის არჩევა სავალდებულოა თუ სტუდენტი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეს. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან თუ წარმოადგენს B2 დონის ან უფრო მაღალ დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს ან უცხოეთში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ან წარმატებით ჩააბარებს შშსუს ენის სკოლაში ინგლისური ენის B2 დონის გამოცდას. თუ სტუდენტს უდასტურდება ინგლისური ენის ცოდნა მოთხოვნილ B2 ან უფრო მაღალ დონეზე, მაშინ მან უცხო ენებისთვის გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში უნდა აიღოს შემოთავაზებული უცხო ენებიდან ერთ–ერთი.

**დასაქმების სფერო:**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს დაბალი და/ან საშუალო რგოლის მენეჯერის და/ან დარგის სპეციალისტის პოზიცია, როგორც საჯარო (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო, მუზეუმების გაერთიანება, რეგიონში მუნიციპალიტეტების კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურები და ა.შ.), ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტურისტულ სააგენტოებში, განთავსებისა და კვების ობიექტებში, სატრანსპორტო კომპანიებსა (ლოჯისტიკა) და აეროპორტებში. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები კურსდამთავრებულებს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების სწავლების მეორე საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ**

შზსუ წარმოდგენილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო/შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზით (უწყვეტი ინტერნეტი, ალჭურვილი კომპიუტერული ცენტრი, აუდიტორიები, შშმპ ადაპტირებული სივრცე და ა.შ.). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოდგენილია ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდით, აქტიური და მოქნილია sis და smart ელექტრონული ბაზები, რომლებიც, როგორც სტუდენტს, ისე აკადემიურ/ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალს უმარტივებს კომუნიკაციას, ელექტრონული ბაზების მისაწვდომია და მყისიერად ხდება კონკრეტულ პირებზე დელეგირებული საკითხებთან მიმართებით რეაგირება. შზსუ არის შემდეგი ელექტრონული ბაზების ავტორიზებული მომხმარებელი: https://www.ebsco.com/, https://www.elsevier, http://polpred.com/, www.journals.cambridge.org, https://home.heinonline.org/, www.opendoar.org, www.roar.eprints.org, www.doaj.org, www.beallslist.weebly.com, www.gutenberg.org, www.memory.loc.gov, www.wdl.org, www.obiblio.sourceforge.net, https://www.cambridge.org/core, https://read.dukeupress.edu, https://www.elgaronline.com/, https://erj.ersjournals.com/, https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE, https://msp.org/, https://www.openbookpublishers.com/, https://royalsociety.org/journals/, https://journals.sagepub.com, https://home.heinonline.org/databases/legal-classics-library/

უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა კლასგარეშე აქტივობებისათვის (სპორტი, შემოქმედება, სოციალური აქტივობა);

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კვალიფიციური ადამიანური რესურსი, გათვალისწინებულია დარგის (ტურიზმი) სპეციფიკა, ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან, გარდა მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობისა პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი გამოირჩევა დარგის შესაბამისი პრაქტიკული უნარებით, ისინი წარმოადგენენ ტურიზმის პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფო უწყებებს ან ხელმძღვანელობენ ტურიზმის სექტორის ორგანიზაციებს. დეტალური ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ იხილეთ დანართში: ,,პირადი საქმე – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი”.

## სასწავლო გეგმა

| სასწავლო კურსი/პრაქტიკა/კოდი | წინაპირობა | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | | | საათების განაწილება | | | | | | | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | III ს.წ. | | IV ს.წ. | | საკონტაქტო | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | VII სემესტრი | VIII სემესტრი | ლექცია/კონსულტაცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | |
| საბაზისო სასწავლო კურსები | | | 10 | | | | | | | | | | | | | | | | |
| BUS119 აკადემიური წერა | N/A | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 15 | 28 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| CEN122 ინფორმაციული ტექნოლოგიები | N/A | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 27 | 16 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| | | | 20 | | | | | | | | | | | | | | | | |

# საგანმანათლებლო პროგრამა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უცხო ენა ინგლისური A1/A2/B1/B2, რუსული A1/A2/B1/B2, გერმანული A1/A2/B1/B2, ფრანგული A1/A2/B1/B2, ესპანური A1/A2/B1/B2, თურქული A1/A2/B1/B2 | ტესტირება დონეების შესაბამისად | სავალდებულო | 5 | 5* | 5* | 5* | 5* | 5* | 5* | 5* | 5* | 48 | 81 | 6 | 6 | 141 | 234 | 375 | 9 |
| **ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო სასწავლო კურსები** | | | **61** | | | | | | | | | | | | | | | | |
| BUS113 მათემატიკა | N/A | სავალდებულო | 6 | 6 | | | | | | | | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| BUS111 ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 26 | 17 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| BUS121 ეკონომიკის პრინციპები | N/A | სავალდებულო | 6 | | 6 | | | | | | | 26 | 17 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| MGT102 მენეჯმენტის საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| BUS106 ბიზნესის სამართლებრივი გარემო | N/A | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| MKT102 მარკეტინგის საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| BUS213 სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი | N/A | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 20 | 23 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| ACT211 ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 16 | 27 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| FIN202 ფინანსების საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 29 | 14 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| MGT319 ბიზნეს კომუნიკაცია | N/A | სავალდებულო | 4 | | | 4 | | | | | | 28 | 15 | 2 | 2 | 47 | 53 | 100 | 3 |
| MGT413 ბიზნესის კვლევის საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 20 | 23 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| MGT301 ადამიანური რესურსების მართვა | მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 20 | 23 | 2 | 2 | 47 | 78 | 125 | 3 |
| **ტურიზმის სავალდებულო სასწავლო კურსები/პრაქტიკა** | | | **75** | | | | | | | | | | | | | | | | |
| BUS204 ტურიზმის საფუძვლები | N/A | სავალდებულო | 4 | 4 | | | | | | | | 17 | 15 | 2 | 3 | 37 | 63 | 100 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| TRM104 საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | ტურიზმის საფუძვლები | სავალდებულო | 4 | | 4 | | | | | | | 18 | 14 | 2 | 3 | 37 | 63 | 100 | 2 |
| TRM203 საქართველოს დაცული ტერიტორიები | ტურიზმის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 19 | 13 | 2 | 3 | 37 | 88 | 125 | 2 |
| TRM302 კურორტის მენეჯმენტი | ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 4 | | | 4 | | | | | | 18 | 14 | 2 | 3 | 37 | 63 | 100 | 2 |
| TRM413 სასტუმრო მენეჯმენტი | ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 116 | 150 | 2 |
| TRM402 კულტურული ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 18 | 15 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2 |
| TRM313 ტურის დაგეგმვა და საქართველოს ტურისტული მარშრუტები | ტურიზმის საფუძვლები, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | სავალდებულო | 6 | | | | | 6 | | | | 19 | 13 | 2 | 3 | 37 | 113 | 150 | 2 |
| TRM317 საექსკურსიო მენეჯმენტი და გიდის ხელოვნება | ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 6 | | | | | 6 | | | | 19 | 15 | 2 | 2 | 37 | 89 | 125 | 2 |
| TRM401 ღონისძიებების მენეჯმენტი ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 17 | 15 | 2 | 3 | 37 | 89 | 125 | 2 |
| TRM318 ტურიზმის სტატისტიკა | სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი, ტურიზმის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 91 | 125 | 2 |
| ECO317 ტურიზმის ეკონომიკა | ტურიზმის საფუძვლები, ეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 91 | 125 | 2 |
| TRM403 ტუროპერეიტინგი | ტურიზმის საფუძვლები, ტურის | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 91 | 125 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა და საქართველოს ტურისტული მარშრუტები | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| TRM312 ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები | ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სამართლებრივი გარემო | სავალდებულო | 6 | | | | | | | 6 | | 17 | 15 | 2 | 3 | 37 | 113 | 150 | 2 |
| MGT403 პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | | 17 | 15 | 2 | 3 | 37 | 88 | 125 | 2 |
| **BUS404 პრაქტიკა** (სატრანსპორტო კომპანია, აეროპორტი, მუზეუმი, დაცული ტერიტორიები, რესტორანი, სახელმწიფო სტრუქტურები/სააგენტოები, ტურიზმის მიმართულების არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები), 10 ECTs **შენიშვნა:** პრაქტიკის 10 კრედიტიანი კომპონენტი არის სავალდებულო ყველა სტუდენტისთვის, მაგრამ პრაქტიკის ქვე-კომპონენტი არის არჩევითი, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს შზსუ- კარიერული განვითარების სამსახურის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მიმართულება ტურიზმის სექტორიდან მისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე | სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები | პრაქტიკის კომპონენტი სავალდებულოა, პრაქტიკის ქვე-კომპონენტი არჩევითი | 10 | | | | | | | | 10 | 5 | 180 | | 1 | 186 | 64 | 250 | 12 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტურიზმის არჩევითი სასწავლო კურსები** | | | 46 | | | | | | | | | | | | | | | | |
| TRM415 ტურისტული პროდუქტების ბრენდინგი | ტურიზმის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები | არჩევითი | 6 | | | | | 5* | 5* | 5* | | 20 | 13 | 2 | 2 | 37 | 113 | 150 | 2 |
| TRM405 მსოფლიო ტურისტული რესურსები | ტურიზმის საფუძვლები | არჩევითი | 6 | | | | | 5* | 5* | 5* | | 19 | 13 | 2 | 3 | 37 | 103 | 150 | 2 |
| TRM404 კვებისა და სასმელების მენეჯმენტი | ტურიზმის საფუძვლები, | არჩევითი | 5 | | | | | 5* | 5* | 5* | | 17 | 15 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2 |
| TRM306 გარემოს დაცვა და ეკო ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს დაცული ტერიტორიები, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | არჩევითი | 5 | | | | | 4* | 4* | 4* | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 71 | 125 | 2 |
| TRM326 სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | არჩევითი | 4 | | | | | 4* | 4* | 4* | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 66 | 100 | 2 |
| TRM319 ინკლუზიური ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | არჩევითი | 4 | | | | | 4* | 4* | 4* | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 66 | 100 | 2 |
| TRM330 გასტრონომიული ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | არჩევითი | 4 | | | | | 4 | 4 | 4 | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 66 | 100 | 2 |
| TRM334 სოფლის ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | არჩევითი | 4 | | | | | 4 | 4 | 4 | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 66 | 100 | 2 |
| TRM335 დაჯავშნის სისტემები ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები | არჩევითი | 4 | | | | | 4 | 4 | 4 | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 66 | 100 | 2 |
| TRM336 ტურიზმის მარკეტინგი | ტურიზმის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები | არჩევითი | 4 | | | | | 4 | 4 | 4 | | 15 | 15 | 2 | 2 | 34 | 66 | 100 | 2 |
| **თავისუფალი კომპონენტი** | | | 60 | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი პროგრამიდან წინაპირობების დაცვით უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.ibsu.edu.ge | უსდ-ს პროგრამების კურიკულუმში გათვალისწინებული წინაპირობები სასწავლო კურსებისთვის | თავისუფალი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ ECTs | | | 240 | | | | | | | | | | | | | | | | |